572
1983

ISSN 0132-596

ეროვნული
ბიბლიოთეკა




№ 10 ოქტომბერი 1983 წ.

# დილა

გეორგიევსკი-
1783

# ძალა ერთობაშია!

მხატვარი ედუარდ ამხოკაძე

ეროვნული ბიბლიოთეკა



როგორც წინა ნომრებიდან იცით, 1783 წელს გეორგიევსკში დადებული ხელშეკრულებით რუსეთი და საქართველო დაძმობილდნენ. მას შემდეგ რუსმა და ქართველმა მშრომელმა ხალხმა ბევრი ჭირი და სიხარული ერთად გადაიტანა. მეფის მთავრობა ერთნაირად ჩაგრავდა და ძარცვავდა როგორც რუს, ისე ქართველ გლეხს, როგორც რუს მუშას, ისე ქართველ მუშას. რუსეთისა და საქართველოს მშრომელი ხალხი ბევრჯერ აუჯანყდა მეფესა და მის დამქაშებს, მაგრამ ამ ბრძოლას დიდი ნაყოფი არ გამოუღია. მიუხედავად ამისა, რუსი და ქართველი მოწინავე ადამიანები — რევოლუციონერები თავდაუზოგავად იბრძოდნენ მეფის ჩაგვრისაგან ხალხის გასათავისუფლებლად; და აი, 1917 წელს რუსეთში რევოლუციამ გაიმარჯვა და დაემხო მეფის მთავრობა. დაემხო იმიტომ, რომ მუშებსა და გლეხებს ამჯერად უკვე წინ უძღოდა მათი პარტია ვლადიმერ ილიას ძე ლენინის მეთაურობით. 1921 წელს საბჭოთა ხელისუფლებამ საქართველოშიც გაიმარჯვა.

მას შემდეგ სხვა აზრი და შინაარსი მიეცა რუსეთ-საქართველოს ურთიერთობას. ხომ გაგიგონიათ — ძალა ერთობაშიაო! მართლაცდა განა ცალკე, მარტოდმარტო ადამიანი გააკეთებს იმას, რასაც მეგობრებთან ხელიხელჩაკიდებული შეძლებს? ვერასგზით! ვიდრე ერთი კაცი ერთ ხეს დარგავს, ბევრი ერთად — ბაღს გააშენებს. ვიდრე ასი კაცი სახლს ააშენებს, მილიონი — ათასს ააშენებს. და ა. შ. დიახ, როცა გვერდში მეგობარი გიდგას, ისიც რუსეთისნაირი ძლიერი და გულითადი მეგობარი, გაჭირვებაც იოლი დასაძლევია და ლხინიც უფრო სასიხარულო.

ისტორიამ, ლიტერატურამ, საერთოდ ცხოვრებამ რუსეთ-საქართველოს მეგობრობის უამრავი მაგალითი იცის. მაგრამ სულ სხვაა ის მეგობრობა, რომელიც ოქტომბრის რევოლუციის შემდეგ დამყარდა ჩვენს ხალხებს შორის.

რუსეთთან კავშირმა და ძმობამ ჩვენ კიდევ ცამეტი სხვა ძმა და მეგობარიც შეგვძინა. დიახ, თხუთმეტი ვართ, ერთ მძლავრ ოჯახად შეკრულნი! თხუთმეტი რესპუბლიკა! თითოეულს თავისი ენა აქვს, თავისი კონსტიტუცია — წესი და კანონი, დროშა და გერბი. რესპუბლიკების კავშირი კი იმიტომ გვქვია, რომ ყველას ერთი მიზანი გვაქვს: ვიცხოვროთ მშვიდობიანად, ერთიანი ძალით ვაშენოთ კიდევ უფრო ბედნიერი მომავალი — კომუნიზმი.

ალბათ არაერთხელ გაგიგონიათ, რა ვერაგულად დაესხა თავს ჩვენს საბჭოთა კავშირს ფაშისტური გერმანია. თქვენი პაპები და ბებიები თავდაუზოგავად იცავდნენ თქვენი დედებისა და მამების სიცოცხლეს; იცავდნენ სისხლით მოპოვებულ ხალხების ძმობასა და ერთიანობას. საბჭოთა ხალხმა სასტიკად დაამარცხა გერმანელი ფაშისტები.

ჩვენს ქვეყანას — მსოფლიოში პირველ სოციალისტურ ქვეყანას, ბევრზე ბევრი სხვა გამარჯვებაც უზეიმნია. ყველა ამ გამარჯვების საფუძველი საბჭოთა ხალხების, მათ შორის რუსი და ქართველი ხალხის მეგობრობა და ძმობაა.

როცა ამ ჟურნალს მიიღებთ, სწორედ იმ დღეებში საქართველოს დედაქალაქში—თბილისში დიდი ზეიმი იქნება — ვიზეიმებთ რუსეთისა და საქართველოს დამოყვრების მე-200 წლისთავს. ბევრი სტუმარი გვეწვევა. ყველანი, დიდ-პატარა, თვალნათლივ დაინახავენ, თუ რა ბედნიერად ცხოვრობს დღეს ქართველი ერი, რამდენი რამ არის გაკეთებული და რამდენი კეთდება ხალხის საკეთილდღეოდ.

17.464

თქვენ კი, ჩვენო პატარებო, რითი უნდა შეუერთდეთ ამ ზეიმს? უნდა ისწავლოთ, იბეჯითოთ, რათა ყველამ დაინახოს და თქვას: აგე, როგორი ადამიანი იზრდება—მცოდნეც და საიმედოც! თქვენ გევალებათ შემდგომ კიდევ უფრო განამტკიცოთ ძმობა და სიყვარული რუს და სხვა საბჭოთა ერებთან, მათთან ერთად აშენოთ კიდევ უფრო ბედნიერი მომავალი.





კ. მარქსის სახ. საქ. სსრ
სახელმწიფო რესპუბლიკ.
ბიბლიოთეკა

# გეორგიევსკი-

## 1783

ნათელა ფაილოძე

### ვარსკვლავმა „საგზური" მიიღო

ნათიას ვარსკვლავის ხელმძღვანელმა, მეექვსეკლასელმა დარეჯანმა თავის ოქტომბრელებს თავისი ხელით დახატული „საგზურები" დაურიგა. საგზურებს ეწერა: „გეორგიევსკი — 200".

— მამაჩემი მივლინებით მთელი კვირით გეორგიევსკში მიდის. მითხრა, ამ არდადეგებზე შენ და შენს ოქტომბრელებს თან წაგიყვანთ, ამაზე კარგი საჩუქარი შენი ვარსკვლავისათვის რა უნდა იყოსო.

ოთარ ძიას ხშირად დაჰყავდა დარეჯანი და მისი ვარსკვლავის ბავშვები — მცხეთაც დაათვალიერებინა, თბილისიც შემოატარა, თავისი აშენებული ხიდებიც აჩვენა.

— მალე დიდი ზეიმი გვექნება, ლამაზად მოირთვება ეს მოედანი, — უთხრა პატარებს ოთარ ძიამ და უამბო, როგორ ემზადებოდა თბილისი გეორგიევსკის ტრაქტატის მე-200 წლისთავის შესახვედრად.

ნიკამ მაშინ ჰკითხა ოთარ ძიას, ტრაქტატი რაღააო.

— ამ 200 წლის წინ ქართველმა და რუსმა ხალხმა ერთმანეთს ერთგულება შეჰფიცეს და გეორგიევსკში სამეგობრო ხელშეკრულებას — ტრაქტატს მოაწერეს ხელიო, — მიუგო ძია ოთარმა.

### მეგობრობის გზაზე

ორი დღის შემდეგ დილაადრიან მანქანით დაადგნენ გზას.

— საქართველოს სამხედრო გზას, ბავშვებო, მეგობრობის გზასაც ეძახიან. ამ გზით ჯერ კიდევ როდის უკავშირდებოდნენ ერთმანეთს ქართველები და რუსები. ბევრ ელჩობას ჩაუვლია აქ. ამ გზით მოვიდნენ ჩვენთან სამოყვროდ და სამეგობროდ რუსეთის დიდი მწერლები: პუშკინი, ლერმონტოვი, გრიბოედოვი, ლევ ტოლსტოი და სხვანი. ამ გზით რუსეთში სწავლის მისაღებად გაემგზავრენ და განათლებულნი უკან დაბრუნდნენ ჩვენი ერის საუკეთესო შვილები ილია ჭავჭავაძე, აკაკი წერეთელი და სხვები...

საინტერესო საუბარში შეუმჩნევლად გაიარა დრომ. მერე დაღლილ ბავშვებს ჩაეძინათ...

— ჩამოვედით! — გამოაფხიზლა ისინი ოთარ ძიას ხმამ.

... პირველი, რასაც გეორგიევსკში თვალი მოკრეს ბავშვებმა, იყო სასტუმროზე გაკრული დაფა წარწერით: „აქ დაბინავებული იყო მე-11 წითელი არმია, აქ სიტყვით გამოვიდა სერგო ორჯონიკიძე".

დარეჯანი და მისი ოქტომბრელებიც სასტუმრო „ოქტიაბრში" დაბინავდნენ.

მეორე დილით მათ ქალაქის მე-5 სკოლიდან ლუდამ, ალამ, ტანიამ და ლარისამ მოაკითხეს.

— ჩვენ მანგლისელ ბავშვებთან ვმეგობრობთ; ისინიც ამ სასტუმროში ცხოვრობდნენ...

### ლარისა კარგი მეგზურია

გეორგიევსკში ნათიას ვარსკვლავის ოქტომბრელთა მეგზურობა ლარისამ იკისრა.

მან სტუმრები გეორგიევსკის სიმაგრეში მიიყვანა — აქ მოაწერა ხელი ერეკლეს ელჩმა, გარსევან ჭავჭავაძემ რუსეთსა და საქართველოს შორის სამეგობრო ხელშეკრულებას; მერე წითელარმიელის ქუჩაზე № 15 სახლში წაიყვანა, სადაც რუს-ქართველთა მეგობრობის მუზეუმია; მეგობრობის სკვერში აღმართულ დიდ სვეტზე აჩვენა რუსულ-ქართული წარწერა: "ძმობა, მეგობრობა".

— შეხედეთ, აქ რომ მწვანე მცენარეები და ყვავილებია, საქართველოდან არის ჩამოტანილი...

— ჩვენს ქალაქში სამამულო ომის დროს მხოლოდ 5 თვე ბატონობდნენ გერმანელი ფაშისტები, მაგრამ მარტო პეშჩინის ქვის სამტეხლოში 700 კაცი დახვრიტეს. აი, მარადიული ცეცხლი რომ ანთია, იქ მათი ხსოვნის ობელისკია.

— საღამოს ჩვენი ქარხნის სასახლეში წაგიყვანთ. დიდი კონცერტი გვექნება და ერთად ვიმღეროთ „სულიკო" თუ „თბილისო". ქართულ ლექსებსაც წაგიკითხავთ, მანგლისელმა მეგობრებმა გვასწავლეს, როცა საქართველოში ვიყავით.

— გეორგიევსკში ქართველები ხომ არ ცხოვრობენ? — დაინტერესდა დარეჯანი.

— როგორ არა! იულია კობახიძე, ალექსანდრე რეხვიაშვილი, გენადი ლობჟანიძე, იური ჯმუხაძე, რომან მეტრეველი, ზაურ მაგანაშვილი, გიორგი ბერიძე... სულ ორმოცნი არიან.

— ლარისა კარგი მეგზურია! — დაასკვნეს ნათიამ და მისმა მეგობრებმა.

### მათ საქართველო დახატეს

— წასვლამდე ერთი გამოფენა უნდა გიჩვენოთო,—და ერთ დღეს ლარისამ ყველანი მე-2 სკოლის პიონერთა ოთახში წაიყვანა.

— კონკურსი გვქონდა. საქართველო უნდა დაგვეხატა. ვინც საქართველოში არ ყოფილა, როგორც წარმოუდგენია ისე დახატოსო, — გვითხრა ხელმძღვანელმა. აი, ნახეთ, სვეტამ მანგლისელი მოცეკვავეები დახატა, მათ ხომ აქ ყოფნისას კონცერტი გამართეს; ვასიამ — ჩაის ბუჩქები, — კინოში ვნახეო ასეთი საქართველო; ერთმა „ჯარისკაცის მამა" დახატა, ერთმა კიდევ მთები — საქართველოში ბევრი მთებიაო. ალამ თბილისის ფუნიკულიორი და ტელევიზიის კოშკურა დახატა, ოლიამ — მანგლისის ნაძვნარი, ალიოშამ — ალგეთი. ეს ნახატები გეორგიევსკის საგამოფენო დარბაზში გამოიფინება და ასეთი წარწერა ექნება: „ჩვენ ვხატავთ საქართველოს, ჩვენ გვიყვარს საქართველო".

ოთხმა დღემ უცბად გაირბინა.

ოთარ ძიამაც თავისი საქმეები მოაგვარა და მეხუთე დღეს გეორგიევსკიდან გამოემგზავრნენ.

— იცოდეთ, თბილისში გელოდებით, — მოიწვიეს გეორგიევსკელი ბავშვები ნათიამ და ნიკამ.

ოთარ ძიამ გაიღიმა:

— ჩემი მანქანა თქვენს განკარგულებაში იქნება!

— მალე შეხვედრამდე! — და მანქანა საქართველოსაკენ დაიძრა.

დიდხანს არავის ამოუღია ხმა.

— თბილისში ჩვენც დავხატავთ გეორგიევსკს,—თქვა ნიკამ.

ძია ოთარის მანქანა უკვე გამოსცდა სოფელ მლეთას და საქართველოს სამხედრო გზით — მეგობრობის გზით, თბილისისკენ გამოუყვა არაგვის ხეობას...

მხატვარი თემურ ფხიკიძე





# გეორგიევსკი-1783

# ჩემი რუსი ძმობილი

აკაკი ზეჭაძე

— ბაბუ, რას აკეთებ? — მკითხა შვილიშვილმა.

— აი, ამ ბიძიას წერილს ვუგზავნი, — მედლებით მკერდდამშვენებული ჯარისკაცის გახუნებული სურათი ვუჩვენე.

— ვინ არის? — დაინტერესდა ცისია.

— ჩემი ძველი მეგობარი, რუსი, მიხეილ იოლკინი.

— საბავშვო ბაღში ერთად დადიოდით?

— არა, საბავშვო ბაღში კი არა, ომში ვიყავით ერთად, ფრონტზე დავმეგობრდით.

— ახლა სად არის?

— შორს, თბილისიდან შორს...

შვილიშვილმა მთხოვა, მომიყევი თქვენი ამბავიო. ჰოდა, რაც ცისიას ვუამბე, თქვენც მოგიყვებით, ჩემო კარგებო, ცისიასავით ცნობისმოყვარე პატარებო.

დიდი ხნის წინათ, როცა არც თქვენ იყავით დაბადებული და არც თქვენი მშობლები, ხოლო ჩვენ, ახლანდელი ბაბუები, ვჭაბუკობდით, ჩვენს ქვეყანას — საბჭოთა კავშირს — თავს დაესხნენ მტრები — გერმანელი ფაშისტები. დაიწყო დიდი სამამულო ომი. მე და მიხეილი ერთ საბრძოლო ბატარეაში მოვხვდით. კინოში ხომ გინახავთ საბრძოლო იარაღი „კატუშა“ — ცეცხლისკუდიან ჭურვებს რომ ისვრის საშინელი გრუხუნით! მიხეილი „კატუშას“ სამიზნეს ასწორებდა, მე ვისროდი. მისი თვალის სიმარჯვეზე იყო დამოკიდებული, თუ რა ზუსტად მოვახვედრებდი მიზანს „კატუშას“ ჭურვებს.

მიხეილ იოლკინს და მე ერთი ზიარი კარდალა გვქონდა, ერთ მიწურში ვათევდით ღამეს, ერთად ვებრძოდით ფაშისტებს, იმ საშინელ, ჯოჯოხეთურ ომში ერთმანეთის ჭირსა და ლხინს ვიზიარებდით. განსაცდელის დროს ის მე მიცავდა, მე იმას ვიცავდი, თითქოს ჩემი სიცოცხლე იოლკინს ებარა, მისი სიცოცხლე — მე. ასე გავიარეთ ერთად ომის დიდი გზა. 1945 წლის ცხრა მაისის ალიონზე სწორედ გუშაგად მდგარმა იოლკინმა გვახარა, ომი დამთავრდაო. გერმანელი ფაშისტები დამარცხდნენ. ჩვენ გავიმარჯვეთ.

როცა ფაშისტები თავს დაგვესხნენ, ისინი ვარაუდობდნენ, რომ ჩვენი მრავალეროვანი ქვეყანა ხუხულასავით დაიშლებოდა და მალე დაიპყრობდნენ მას. მაგრამ სასტიკად მოტყუვდნენ. სამამულო ომის დროს ჩვენი ქვეყნის სხვადასხვა ხალხის ძმობა და მეგობრობა კი არ დაირღვა, უფრო განმტკიცდა და გაძლიერდა. ისე, როგორც მე და იოლკინი, ვინ



ეროვნული ბიბლიოთეკა



მოთვლის, რამდენი ქართველი და რუსი ადამიანი იბრძოდა ერთმანეთის მხარდამხარ იმ ძნელ ომში. სწორედ ამგვარმა თანადგომამ გაგვამარჯვებინა მომხდურ მტერზე.

ომი ვის უყვარს?! მისმა დამთავრებამ ყველანი ერთნაირად გაგვახარა, მაგრამ მერე დაგვიდგა მეომრის ფარაჯების გახდის დრო და თუმცა შინ ძალიან მიგვეჩქარებოდა, ფრონტზე დაძმობილებულ ჯარისკაცებს განშორება ერთობ გვეძნელებოდა. ასე დაგვენანა განშორება მე და ილკინსაც. მისამართები გავცვალეთ. მაგრამ მოხდა ისე, რომ ორივემ შევიცვალეთ ადგილსამყოფელი და ერთმანეთის ასავალ-დასავალი ველარ გავიგეთ. თუმცა ჩვენი მეგობრობა არ დაკარგულა, მუდამ უწინდებურად გვახსოვდა ერთმანეთი. და, აი, ერთ მშვენიერ დღეს ჩემს სოფელში, სადაც წინათ ვცხოვრობდი, ჩემს სახელზე შორეული ბაშკირეთის ქალაქ ოქტიაბრსკიდან მოვიდა მოსწავლეთა წერილი, სკოლაში მოვიწვიეთ ომის ვეტერანი მიხეილ ალექსანდრეს ძე ილკინი, რომელმაც გვიამბო თქვენი ომისდროინდელი მეგობრობის ამბავი, გული სწყდება, რომ არაფერი იცის თავის გულითად ქართველ ძმაკაცზე. და შეგვატყობინეთ, როგორ ხართ და რას აკეთებთ ამჟამადო... ასე, კვალისმაძიებელ მოსწავლეთა წყალობით დიდი ხნის შემდეგ ფრონტელმა მეგობრებმა კვლავ ვიპოვეთ ერთმანეთი. განსაკუთრებით გამეხარდა, რომ ჩემი რუსი ძმობილი მოწინავე ხარატი ყოფილა, სახელოვანი მუშაკაცი, ოჯახის ღირსეული მამა...

— ახლა შენი მეგობარიც ბაბუაა?—მკითხა ცისიამ.

— კი, შვიდი შვილიშვილი ჰყოლია,—მივუგე მე.

— ნეტავი როგორები არიან? ისე მინდა გავიცნო!—ინატრა ცისიამ.

— კი, ჩემო კარგო, თქვენ უნდა გაიცნოთ ერთმანეთი... და არა მარტო გაიცნოთ, დამეგობრდეთ კიდევაც!—ვუთხარი შვილიშვილს. ასეა, ჩემო კარგებო, ნამდვილი მეგობრობა არასოდეს იკარგება.

მე და მიხეილ ილკინი ერთმანეთს ჰაბუკები დავშორდით და ბაბუებმა კვლავ მოვინატრეთ ერთიმეორე. ამგვარად გაგრძელდა ჩვენი ადრინდელი გულითადი მეგობრობა... და იმედი მაქვს, ამიერიდან ამ მეგობრობას შვილიშვილები გააგრძელებენ.

მხატვარი თემურ ფხაკაძე

# გეორგიევსკი-

1783

# დედისერთა დათოს ლექსი

ოთარ შალამბერიძე

პატარა ვარ, მაგრამ უკვე
ბევრი კუთხე მომივლია;
ყველგან ჩემი ძმობილია,
ყველგან ჩემი დობილია.
მეგობრობის მატარებლით
ვმოგზაურობთ პატარებიც.
ამას წინათ ვოლგის მხრიდან
წერილიც კი მოგვივიდა:
ორასი წლის დღესასწაულს
ულოცავენ დედას, მამას,
ჩვენს მშვენიერ საქართველოს,
ჩვენს სამშობლოს—უხვს და ლამაზს.

იმ წერილში ჩემზეც წერენ,
თქვენ გგონიათ სასაცილოდ?—
გამორჩევით მოგვიკითხეთ
დათო—ჩვენი ძმაკაციო!
დედისერთა თუმცა მქვია,
ძმობა მეც კი შემიძლია.
ძმა არ გყავსო,
და არ გყავსო,—
აღარ ვიცი რას მერჩიან;
ძმობილიც მყავს,
დობილიც მყავს
მოსკოვშიაც, ტაშკენტშიაც...

სახელებიც მახსოვს მათი:
ტანია და ტაშბულათი...
რა კარგია ეს ქვეყანა,
სამეგობრო ჩვენი მხარე;
გავიზრდებით
და ერთმანეთს
უფრო მეტად შევიყვარებთ.

ბოლოს ერთი სათხოვარიც
მინდა ვუთხრა ჟურნალ „დილას",—
რომ ეს ლექსი საზეიმო
დამიბეჭდოს კარგ ადგილას.



ეროვნული ბიბლიოთეკა



# ჩემი წინაპარი

შემოდგომის სუსხიანი დილა. სამი თვის მომქანცველი სვლის შემდეგ საქართველოს ციხე-სიმაგრეთა ბჭეებს მოადგა რუსთა ჯარი, გამოგზავნილი ქართველი ხალხის დასახმარებლად. ჯარის მეთაურის, გენერალ ტოტლებენის გვერდით შეამჩნევდით თეთრ ულაყზე მჯდომ, მთელი ჯარისაგან განსხვავებით თეთრ ჩოხა-ახალუხში გამოწყობილ ყმაწვილკაცს. ეს გენერლის მარჯვენა ხელი, მისი ადიუტანტი, ჩემი პაპის პაპა მიხეილ კირილოვი იყო. გენერალს ადიუტანტი გამორჩეული, მამობრივი სიყვარულით უყვარდა. ენდობოდა, რამეთუ ახსოვდა, თუ რამდენჯერ შეჰგებებია ადიუტანტი მისთვის გამიზნულ ხიშტს, რამდენჯერ დაუცავს საყვარელი გენერლის სიცოცხლე, მასთან ერთად მრავალი ბრძოლა გამოუვლია და სრულიად ახალგაზრდას თმა შეთოვლია, მაგრამ მუდამ მოციმციმე ლურჯ თვალებს ელვარება და ლაზათი არ მოჰკლებია.

მიხეილს ცოლად თავად ბაქრაძის ქალიშვილი შეურთავს. მათ საქორწილო სუფრას თვით გენერალი თამადობდა თურმე.

უმშვენიერესმა, უსათნოესმა ქალმა ერთგული მეგობრობა გაუწია ჩემს პაპის პაპას მთელი სიცოცხლის მანძილზე. მხარში ედგა ჭირსა და ლხინში. მაგრამ მალე ცხოვრების ჩარხი უკუღმა დატრიალდა. ტოტლებენის თანამდებობა და პატივი ვერ შეიფერა, განსაცდელის ჟამს რუსთა ჯარი ბრძოლის ველიდან გაიყვანა. ერეკლე II მტრის პირისპირ მარტო დატოვა. ამ დროს მას ადიუტანტი აღარ ახლდა. ეს კეთილშობილი ადამიანი მიხვდა, რომ ქართველ ერს ახლა სჭირდებოდა დახმარება და მეგობრობა, ჩამოშორდა თავის გენერალს (წარმოსადგენია, რა სულიერი ტკივილის ფასად შეძლო ეს), და ჯარის მოსალოდნელი უკან დახევის ამბავი ერეკლე მეფეს აცნობა. ასე, ქართველი ხალხის სიყვარულში გაატარა მთელი თავისი სიცოცხლე რუსმა კაცმა. მის ნაქონ იარაღს ძვირფას რელიკვიად ინახავს შთამომავლობა. მომაკვდავს ანდერძი დაუტოვებია:—მისი გვარის ყველა ვაჟკაცს ქართველი ქალი უნდა შეერთო ცოლად, ნიშნად ამ ორი დიდი ხალხის ურღვევი მეგობრობისა. მე მადლიერი ვარ ჩემი სახელოვანი წინაპრის. ჩემში განუყოფელია ქართული და რუსული სისხლი. სამშობლოსადმი სიყვარული და კაცური კაცობა ერთნაირად მასწავლა ქართველმა და რუსმა ერმა.

**მიხეილ კირილოვი,**
ბ. ძნელაძის სახელობის პიონერთა და მოსწავლეთა რესპუბლიკური სასახლის ქართული ლიტერატურის წრის წევრი.

მხატვარი ნანა სულემენაშვილი



ჯალათირ არაბული

## კონცერტი

უღრან ტყეში მეცებმა
გამიმართეს კონცერტი,
რომ მღეროდა წამყვებოდით,
მოსაწვევებს მოგცემდით...
არის ერთი ტაშფანდურა,
არის ცეკვა, თამაში,
შეჯიბრება სიმღერაში,
ჩურჩხელების ჭამაში...
ღმერთო, რას არ ნახავს თვალი:
მელა უვლის შადაროს,
დათვი ყვირის:
— ნაღდი ცეკვა
ახლა უნდა განახოთ!
ბეჰემოტი წრეში ბრუნავს,
„მარდი“ სპილოც აქ არის,
დავლურს უვლის თრითინების
და თაგვების ამქარი.
აქეთ ციყვი,
იქით ტურა
ხტუნაობენ მეღიღურად.
— მიდი, ტურა!
— მიდი, ტურა!
ციყვმა მეტი იცის თუ რა?
კურდღელი კი გადაბერიდა
ამ ამბების შემყურე.
— ეჰ, კურდღელო, რომ იცოდე
რა მოელის შენს ყურებს...
რიჟრაჟამდე გრძელდებოდა
მხიარული კონცერტი.
რომ მღეროდა წამყვებოდით,
მოსაწვევებს მოგცემდით!



ნაირა გელაშვილი

## გუბეები

ღრუბლებსა და ღრუბლის შვილებს
წვიმა დააქვთ უბეებით,
წვიმა მოდის, წვიმა მოდის,
ცას [illegible] აქვს უბეები.
როცა წვიმამ გადიღო,
ქვემოთ დარჩა გუბეები,
რუები და გუბეები.
გუბისაკენ მიჰქრის ჩქარა
ხოჭო, [illegible] და კრაზანა,
წყალს ისხამენ, იცინიან:
„ჩვენც ხომ გვინდა აბაზანა!“
ვინც ხოჭოა — შეიდ ხოჭოს ბანს,
ვინც ჭია — შეიდ ჭიას,
ვინც ციყვი — შეიდ ციყვუნას —
ონავარს და მანჭიას,
ზოგ შვილს გუბის ეშინია,
არის გაწამაწია.
„დაიბანე სახე, ტანი,
დათვი მელა
და შენ — მტუჭანი,
სუფ, სუფ, სუფ, სუფ,
სუფ, სუფ, სუფ, სუფ,
შეგემატოს ღონე და ჯანი“.
ტან და პირდაბანილები
შრიალშრიალა ხეები
გუბეში იცქირებიან:
„ჩვენც ხომ გვინდა სარკეები“!
ესა თქვეს და გაიმშრალეს
სველი, მწვანე უბეები.
ვერ უყურებთ, რა კოხტიან
გუბურ-გუბურ-გუბეები!





ნელი გაბრიჩიძე

## ოცი გოჭი

მიულია თურმე ბებოს
დავალება საგანგებო:
მიუციათ ოცი გოჭი,
უსუსური, სულ მთლად ნორჩი,
უნდა ყველა გამოზარდოს,
არ იყოსო ერთიც კოჭლი,
აუშენეს თურმე სახლი,
სადაც უნდა მოათავსოს,
საჭმელ-სასმელს ნუ იდარდებ,
თავმჯდომარე მოგიტანსო.
ახლა ბებო დაჩქარებით
დააბიჯებს სოფლის გზებზე.
ხუმრობა კი არ გეგონოთ,
ოცი გოჭის სახელს ეძებს...



## პური

პურია თუ მჭადია,
მათი ქება მწადია,
უნდა მოხნა მიწა,
თესო, თოხნო, ბარო,
რომ დამჭიდეს ყანა —
უკვდავების წყარო.
გადუწვავდე ვიდრე
უნდა ოფლი ღვარო.
არ იქნება პური
რომ არ შეიყვარო.
უკვდებოდა მამულს
ძვირად სისხლის ფასად.
დამშეული თავად
ამა უთმობდა ძმასა.
სურნელოვან პურში

მზე გვაწონებს თავსა,
არ დაავდო უშნოდ
არასოდეს, არსად.
ხოლო პურის გულით
ძირწავს ჭიაღუას?
ან ფანჯრიდან აგდებს
ჩამოკბეჩილ ყუას,
ეს რომ ოქრო-ფქვილ-თოვლა
მეწისქვილემ ნახოს,
იმ საბავშვო ბაღთან
არც გაივლის ახლოს,
ან რომ ოფლის პაპამ
ამას მოჰკრას ყური...
გაუფრთხილდი, კარგო,
შეიყვარე პური...

მხატვარი ლადო ტატიშვილი

# მხიარული ჩანთა

მარგო თომაძე

მხატვარი ნანა ჭურღულია

დედამ თამრიკოს ჩანთა უყიდა. ჩანთას ნაცარა ბაჭია ახატია. ბაჭიას წინა თათებით თაიგული უჭირავს, ზურგზე ჩანთა აქვს მოკიდებული და მხიარულად მიცუნცულებს სკოლისაკენ. თამრიკოს ძალიან მოსწონს თავისი ჩანთა. ვინც კი მოდის, ყველას უჩვენებს. საღამოს მზია მამიდა მოვიდა.

— თამრიკო, აი, როგორი საშლელები მოგიტანე, — უთხრა და მაგიდაზე ცეროდენა „წითელი ფისო", „თეთრი ცუგა" და „ყვითელი მელია" დაუდო. თამრიკო გაოცებული დააცქერდა ერთიბეწო. კუდრაჭა საშლელებს. მერე სათითაოდ აიღო და დიდხანს ატრიალა ხელში — „ფისოს" ვარდისფერი გული ჰქონდა, „ცუგას" — ცისფერი მოგვიანებით შოთა ბიძია მოვიდა. — თამრიკო. ამათ თუ იცნობო? — ჰკითხა გოგონას და მაგიდაზე ფანქრის სათლელი „სპილო", „ჰოკეის მუზარადი" და „რაკეტა" გაამწკრივა. გაიხარა გოგონამ. ყველა ფანქარს წვერი წაუთალა. ხან ხატავდა და ხან შლიდა.

— ახლა გეყოფა ხატვა, ძილის დროა, — უთხრა დედამ. გოგონამ სწრაფად წამოკრიფა ყველა საშლელი და სათლელი, საწოლის წინ სკამი დაიდგა და იქ დააწყო.

— შენ წადი, დედიკო. ჩვენ ყველა ერთად დავიძინებთ, — უთხრა და სკამის წინ საწოლზე დასკუპდა.

პირველ სექტემბერს, დილით ადრიანად წამოხტა თამრიკო. მოუსვა ხელი და ყველა სათლელი და საშლელი, ფლომასტერი და ფანქარი ჩანთაში ჩაყარა. თვითონ კი საუზმეს მიუჯდა. ჩანთაში ერთი ზარზეიმი ატყდა. იხუვლეს კოხტად გამოწკეპილმა საშლელებმა, აცქმუტდნენ და ათამაშდნენ. ფლომასტერები და ფანქრებიც გაკოტრიალ-გამოკოტრიალდნენ. გამხიარულდა ჩანთა, — ეს რა კარგი ცუგრუმელები მეწვივნენო. თამრიკო ჯერ ისევ საუზმეს შეექცეოდა, რომ კარი გაიღო და დეიდა ნანა შემოვიდა.

— კიდევ კარგი, მოგისწარი, ჩემო კუდრაჭა, საჩუქარი მოგიტანე, — უთხრა და წინ საშლელი „გედი" დაუდო.

— გმადლობთ! — უთხრა თამრიკომ. საშლელი გამოართვა და ისიც ჩანთაში ჩადო.

— არიქა, არიქა, ცისფერი „გედი" მოვიდა, ჩვენი ლამაზი ცისფერი „გედი", — გაიხარეს მოზეიმეებმა.

— ჩემთან მოდი, — წაატანა თათი „გედს" „მელიამ".

— მაგასთან არა, ჩემთან მოდი, — ეხვეწება „ფისო".

თამრიკომ საუზმე დაამთავრა, ჩანთა ზურგზე მოიგდო და ხტომა-ხტომით წავიდა სკოლისაკენ. ჩანთაც ხტოდა და ცქმუტავდა. კიდევ უფრო გაიხარეს მოზეიმეებმა, აცეკვდნენ და ამღერდნენ. აიქლიკენ და დაიკვანწენ, ცუგა ფისოსკენ იქაჩება. ფისო გედს ეკვრის, ბაჭია ყურებს წკიპავს, მელია თავის ლამაზ კუდს ეთამაშება. ოთხკუთხა, ბრტყელი, ცისფერი საშლელი უთავბოლოდ დაბორიალებს, — მეც მაცეკვეთო, — იხვეწება.

— იქით გაიწი, ფეხებში ნუ გვებლანდები, — დაუტატანა მელიამ. სათლელები კი იდგნენ და პირდაფჩენილი შესცქეროდნენ მოზეიმეებს, თან უსაყვედურებდნენ: თქვე თავქარიანებო, რა მოგივიდათ, რამ გადაგრიათო. მაგრამ თანდათან თვითონაც აყვნენ ფეხის ხმას. ჯერ სათლელი „ბურთები" აცქმუტდნენ, გაგორდნენ და გამოგორდნენ. „სპილოც" დაიძრა ნელ-ნელა, ხორთუმი შეათამაშა, „ჰოკეის მუზარადიც" აჩხარუნდა, ყირაყირა გადავიდა, მხოლოდ სათლელი „რაკეტა" მრისხანებდა, იდგა სამ ფეხზე, წვერწამახული, გარიჟრაჟივით ვარდისფერი და თავაღებული შესცქეროდა აცეტებულ საშლელებს და სათლელებს. ითმინა, ითმინა და ბოლოს ველარ მოითმინა, გაბრაზებულმა შესძახა, შეწყვიტეთ აურზაური, თორემ სუყველას მთვარეზე გაგტყორცნითო. ამასობაში თამრიკო სკოლაში მივიდა, ზურგიდან ჩანთა მოიხსნა და მერხზე დააბრეხვა, მხიარულმა ჩანთამ ცქმუტვა და ხტუნვა შეწყვიტა. მოზეიმეებს გულები დაუსკდათ, იმ ახირებულმა „რაკეტამ" მართლა მთვარეზე ხომ არ გაგვტყორცნაო.

ეროვნული ბიბლიოთეკა

აი, მასწავლებელმა ბავშვებს ახალთახალი „დედაენა“ დაურიგა. თამრიკომ ჩანთა გახსნა და „დედაენა“ შიგ ჩადო.

— „დედაენა“ მობრძანდა,—სწრაფად მიიწმოიწიეს მოზეიმეებმა, გასწორდნენ, გამწკრივდნენ, ცერებზე შედგნენ და მოკრძალებით მიესალმნენ.

— ცოტა იქით გაიწი,—გვერდი გაჰკრა სათლელმა „ბურთმა“ მელიას,—მეც დავინახო „დედაენა“, თორემ შენი კუდი მიშლისო. „ბაჭია“ ზურგზე შეახტა „სპილოს“, „დედაენას“ კარგად უნდა შევხედოო. „დედაენა“ ჯერ შეცბა, შეიშმუშნა, ყველა ყურადღებით აათვალიერ-ჩაათვალიერა, მერე გაიღიმა და წყნარად მიმართა მათ:

— აი, თქვე კუდრაჭებო, კოხტაპუწკებო, პრანჭიკუდებო, რა კარგები ხართ, რა ლამაზები, რა კოპწიები, მოკაზმულები, გამოწკეპილები, პრანჭია-მანჭიები, პეწენიკები, ცოდო არაა, აქ რომ ყრიხართ. უნდა თამრიკოს ვუთხრა, თავისი წიგნების თაროზე გაგამწკრივოთ, რომ ყველამ დაგინახოთ. სკოლაში კი მარტო ბრტყელი ცისფერი საშლელი და სათლელი „სპილო“ ატაროს. როცა თქვენ დასჭირდებით, აქ არ იქნებით! სად გაიქცევით!?

გაიხარეს ცუგრუმელა საშლელებმა და სათლელებმა. რა კარგიაო „დედაენა“, რა კეთილი, რა უხვი. როგორ მოგვეფერა, რამდენი ლამაზი სახელი შეგვარქვაო. მოდი, ჩვენც ვუმღეროთო—ისევ იხუვლეს, აცეკვდენ და ამღერდნენ, აიჭლიკენ და დაიკვანწენ, გარს ეხვეოდნენ, კალთაზე ეკვროდნენ, ეფერებოდნენ „დედაენას“...

გაკვეთილები რომ დამთავრდა, თამრიკომ ზურგზე მოიგდო მხიარული ჩანთა და შინისაკენ გასწია.



# [illegible]



**„დილაში" [illegible]**

ეს პატარა წერილი მრავალი წლის წინ დაწერა საბჭოთა კავშირის სახალხო მხატვარმა ლ ა დ ო  გ უ დ ი ა შ ვ ი ლ მ ა ჟურნალ „დილის" მაშინდელი მთავარი მხატვრის შალვა ცხადაძის შესახებ. ვფიქრობთ, თქვენც სიამოვნებით წაიკითხავთ მას. აქვე ვბეჭდავთ შ. ცხადაძის მიერ შესრულებულ რამდენიმე ნახატს.

პატარების ხატოვანი სამყაროს შემქმნელი, მხატვარი შალვა ცხადაძე ჩუმი, უპრეტენზიო, ნიჭიერი შემოქმედია. იგი ორი ათეული წელია დიდი გულწრფელობით, გატაცებით, პასუხისმგებლობითა და სიყვარულით უწევს ხელმძღვანელობას ჩვენი ბავშვების საყვარელი ჟურნალის „დილის" მხატვრული გაფორმების მეტად საპატიო და საშვილიშვილო საქმეს და ვინ იცის, ამ ხნის განმავლობაში რამდენი ბავშვის გული გაუხარებია!

ხაზგასმით უნდა აღვნიშნო, მე დიდად დამაფიქრა შ. ცხადაძის მიერ მხატვრულად გაფორმებულმა, დასურათებულმა „დედაენამ". ჩვენს მოზარდებს უყვართ მხატვრულად გაფორმებული საბავშვო წიგნები.



კარგად წერდა ანატოლ ფრანსი: „ვინ მოთვლის, რამდენი წიგნი შემიძენია მათი ყდისა, ფრონტისპისისა და თავსამკაულებისათვის".

პოეტური ფანტაზიის მქონე მხატვრის შ. ცხადაძის მიერ დიდი გემოვნებით გაფორმებული საბავშვო წიგნები: „კომბლე", „წითელქუდა", „ბაჭია ბიჭუნა", „მხიარული ბავშვები", „დათუნია ფრუნჩა", „ბიჭი ბიჭანჭური", „ჩექმებიანი კატა", „რწყილი და ჭიანჭველა", „თხა და ვენახი", „ჩიტი და მელა", „მამალი და კატა", „გოგია და ტოლია", „მელია და დათვი", „კიკლი-კიკლი კიბესა", „თქვენთვის გალობს ყველა ჩიტი", „როგორ მოიპარა მელა ბებიას თხამ" დიდი პოპულარობით სარგებლობს ქართველ ბავშვებში. ეს მხატვრისათვის დიდი სახელი და გამარჯვებაა.



შალვა ცხადაძემ კარგად იცის, რომ ნორჩებს უყვართ ხატოვანება, ფერადოვნება.

ფერი მთელი ძალით მოქმედებს ბავშვის საერთო გუნება-განწყობილებაზე, აღძრავს ხალისს და იძლევა სიამოვნების გრძნობას. მხატვარი შ. ცხადაძე ცდილობს მხატვრულად ასახოს ნორჩი თაობის ინტერესების შესაბამისი სამყარო, მოძებნოს ნაწარმოების შინაგანი რიტმის შესატყვისი ფორმა და, რაც მთავარია, ბავშვებისათვის თავისუფლად გასაგები გახადოს ნახატი, სურათი.

მართლაც მისი ყოველი ნამუშევარი „დილაში" თუ საბავშვო წიგნებში სადა, მეტყველი და ბევრის მთქმელია, აღსავსეა მხიარული იუმორით, მიმზიდველია ხალისიანი ფერების და საერთო ხატოვანების წყალობით.

„დილაში" ყველაფერი დილასავით ბრწყინავს!

ამ საქმეში დიდი წვლილი მიუძღვის ჩვენს სახელოვან მხატვარს შ. ცხადაძეს, რომლის სახელით მუდამ იამაყებს ქართული საბავშვო მხატვრობის ისტორია.

# გულჩიტა

მხატვარი ირაკლი ფარჯიანი

17464

ღიდი ხნის წინათ, ერთ მიყრუებულ სოფელში ცხოვრობდა კეთილი და სათნო მოხუცი, რომელსაც გულში ჩიტები ესხა. დიახ, ნამდვილი, ცოცხალი, ჟღურტულა ჩიტები. საკმარისი იყო იმ თეთრწვერა ბერიკაცს ვინმე გახუმრებოდა და გაეცინებინა, რომ მის მკერდში ჩიტუნები აჟივჟივდებოდნენ, აჭიკჭიკდებოდნენ, დიდსა თუ პატარას ენით უთქმელ სიამოვნებას ანიჭებდნენ.

იმ ქვეყანას ერთი გულბოროტი, ღრძო და მუცელღორა ხელმწიფე განაგებდა, ისეთი ღრჯუ და დაუნდობელი, რომ თუ ვინმეს მომღიმარს ანდა სახემოცინარს დალანდავდა, იმწამსვე კარისკაცებს მიუსევდა, შეიპყრობდა და საჯაროდ თავს გააგდებინებდა; ამიტომაც იმის ქვეყანაში დღენიადაგ მოთქმა, ტირილი და კვნესაგოდება ისმოდა.

ჰოდა, მიუტანა ვიღაც უკეთურმა პირსისხლიან მეფეს ამბავი, ამა და ამ სოფელში ასეთი უცნაური მოხუცი ცხოვრობს, გულში მგალობელი ფრინველები ჰყავს ჩაბუდებული, დღენიადაგ მომღიმარია და სხვებსაც ტანჯვა-ვაებას უმსუბუქებს, ცხოვრებას უიოლებსო.

ხელმწიფე ისე განრისხდა, პირიდან სულ დორბლი და ცოფი ჰყარა, — სასწრაფოდ აქ მომგვარეთო, — ბრძანა.

სტაცეს უდანაშაულო გულჩიტას ხელი, გაბაწრეს, გაკოჭეს და სულ მუჯლუგუნების კვრითა და ცემა-ტყეპით მიჰგვარეს მეფეს.

— შე ავაზაკო და მეამბოხევ, მართლა გისხედან გულში ჩიტებიო? — ჰკითხა კოპებშეკრულმა ხელმწიფემ.

— სრული ჭეშმარიტება გახლავთო. — მიუგო გულჩიტამ.

— ახლავე უკლებლივ ამოსხი და საჩუქრად მომართვი, თორემ ცოცხლად გაგაძრობ ტყავსო — დაემუქრა მეფე.

ამ მუქარაზე გულჩიტას გაეცინა.

— მეფევ ბატონო, ეგ როგორ შეიძლება, გული ხომ გალია არ არის, როგორ ამოვსხაო? — უპასუხა და იმის სიცილზე ჩიტებმა ისეთი ჟივილ-ხივილი მორთეს, რომ რაც ხელმწიფის ჩაჟამული სასახლის კუთხე-კუნჭულში შეყუჟული ლამურები იყვნენ, ყველანი დააფრთხეს და თავზარდაცემულები გააქციეს.

ავსული ხელმწიფე დასაბმელი შეიქნა, კბილმტკივანი დათვივით აღრიალდა, ჩემი სანაქებო და საფიცარი ღამურების შეწუხება როგორ გამიბედესო, და გულჩიტას იმავ წუთს ყველაზე ღრმა და ნესტიან დილეგში უკრა თავი, ნაზირ-ვეზირებს კი უბრძანა — დილამდის თუ ნებით მომგვარა ჩიტები, ხომ კარგი, თუ არა, ჯალათმა მაგ მოხუცს მკერდი გაუხსნას, გული ამოგლიჯოს, ეგ საძაგელი ფრინველები ამოსხას და მზარეულებს გადასცესო, იმათ კი თავები წაასხიპონ, გაპუტონ, კეცებზე შემიწვან და ხვალ სადილად ნიორწყლით შეზავებული მომართვანო.

... მიყუჟულა საბრალო გულჩიტა ბნელი დილეგის კუთხეში და სულ ლაპალუპით ჩამოსდის ცრემლები, თავს იმდენად არ ნაღვლობს, რამდენადაც საყვარელ ფრთოსნებს. აღარ იცის, რა ილონოს.

ამ სანუხარ-საფიქრალში მყოფს რაღაც ფაჩუნი შემოესმა, მიაყურადა და ესმის, საკუთარი მკერდიდან ადამიანის ხმით ვილაცა ეუბნება:

— შე დალოცვილო, რას იმდუღრები და იძმარები, დაწყნარდი, დამშვიდდი, ხვალ დილით კი ხელმწიფესთან მიყვანა ითხოვე და ასე მოახსენე — რადგანაც გულიდან ჩიტების ამოსხმა არ შემიძლია, ასე მოვიქცეთ, მე პირს დავაღებ, თქვენ კი ყელში ჩამყეფეთ, მაგ ხმაზე ფრინველები შეშინდებიან, დაფრთხებიან და სულ წიოკნიოკით ამოფრინდებიანთქო.

გულჩიტა მართლაც ასე მოიქცა, დილაადრიან მცველებს ხელმწიფესთან მიყვანა სთხოვა და გულის ნათქვამიც სიტყვა-სიტყვით მოახსენა.

ხელმწიფემ გულჩიტას გარშემო კარისკაცები დააყენა, ხელში ბადეები დააკავებინა, ჩიტები ამოფრინდებიან თუ არა, იმწამსვე უკლებლივ დაიჭირეთ, ერთიც რომ გაგისხლტეთ, სათითაოდ დაგთხრით თვალებსო; მერე გულჩიტას პირი დაალებინა და ისეთი გაავებით ჩაჰყეფა, მეცხვარის ყურებდაჭრილ ქოფაკსაც შეშურდებოდა.

მეფის დაყეფება იყო და, ჰოი საოცრებავ, გულჩიტას პირიდან უზარმაზარი არწივები ამოფრინდნენ, მიგლიჯ-მოგლიჯეს ბადეები, დააცხრნენ იმ ბოროტ ხელმწიფეს, ჩაასვეს კლანჭები და გოჭივით აჭყივლებული ციმციმ აიტაცეს ზეცაში; იქ ერთი-ორი ლაზათიანად ჩაუნისარტეს კინკრიხოში, უშვეს კლანჭები და გზაც დაულოცეს.

წამოვიდა მეფე-ბატონი შურდულის ქვასავით ზუზუნით, წუილწუილით, „ვაი... ვაის“ ღრიალით [illegible] ქა დედამიწას [illegible] ნიფებული საწამთროსავით გასკდა.

მოდის სოფლისაკენ დალონებული გულჩიტა. იცის, აღარ უსხედან მკერდში მგალობელი ფრინველები, ეს უდაღავს გულს. რაღად უნდა ასეთი სიცოცხლე.

სოფლის განაპირას, ნაფერდებულ წისქვილთან, ზურგზე ტომარაწამოკიდებული ერთი ონავარი ბალღი შემოხვდა და ეს ამ ხნის მოხუცი აზლუქუნებული რომ დაინახა, ზარივით წკრიალა ხმით აკისკისდა.

—რა გიხარიაო? — ჰკითხა გულჩიტამ წყენით.

— ისა, რომ ჩემი ბებია შენსას სჯობნებიაო. — მიუგო ონავარმა.

— მაინც რითიო? — დაინტერესდა გულჩიტა.

— მე რომ დილით ფაფა არა ვჭამე, ბებიამ იმით დამსაჯა, რომ საფქვავი ამკიდა და წისქვილში გამომისტუმრა, შენსას კი, როგორც ჩანს, ფაფის უჭმელობისათვის ყურებითაც აუწევიხარ. და მიტომაც იცრემლებიო.

ონავრის ოხუნჯობაზე გულჩიტას მართლაც გულიანად გაეცინა, გადაიხარხარა და დახეთ საოცრებას — აჭიკჭიკდნენ, ამღერდნენ და აგალობდნენ იმის მკერდში ჩიტები ისე საამოდ, ისე ტკბილხმოვნად, რომ უმჯობესს ადამიანის სმენა ვერც ინატრებდა.

ასე მთავრდება ეს ზღაპარი, ჩემო პატარებო, მაგრამ ერთი რამ მაინც მინდა გკითხოთ — იფიქრებდით, რომ ისეთ სათნო და კეთილ მოხუცს, როგორიც გულჩიტა იყო, მგალობელ ფრინველებთან ერთად მკერდში არწივებიც ეყოლებოდა?



თენგიზ ჩალაური

# შემოდგომა



**მურმან ლებანიძე**

მხატვარი **გიორგი როინიშვილი**



რატომ გვიყვარს შემოდგომა
ყველას—დიდს თუ პატარას?
იმიტომ, რომ კაკალს ბერტყენ,
ადუღებენ თათარას,

იმიტომ, რომ ვენახს კრეფენ,
ქვევრებს რეცხენ ლიპიანს;
იმიტომ, რომ რაც ხილია —
ყველა ხილი მწიფეა.

რატომ გვიყვარს შემოდგომა
ყველას ასე ძალიან?
იმიტომ, რომ სავსეა
ბეღელი და ნალია.

იმიტომ, რომ სავსეა
კალათი და გოდორი,
იმიტომ, რომ ირევა
ცაში ოქროს ფოთოლი...

დღეები ცისფერია,
მზისფერია ველები.
— გრუუტ, გრუუტ,—დაფრენენ
ყანებს მწიფობელები.

სადღაც ბოლავს ბუხარი,
სადღაც მორი იპობა
და ყრუდ გესმის გრუტუნი:
— მწიფობა!

— მწიფობა!—
სკოლის შემდეგ სიმღერით
შინისაკენ ვბრუნდებით.
შეესევა ვენახებს

გზა-გზა ჩვენი გუნდები.
მარტო ჭამა როდი ვიცით,
კრეფაც ვიცით ბიჭებმა;
ხილის ქურდი თუ არა ხარ,

ყველა გეპატიჟება...
მაგრამ რა დროს ქურდობაა!
ირგვლივ ყველგან ხილია,
სიმძიმისგან გულაბის

ტოტი მოტეხილია...
აგერ ოცი ხეჭეჭური
გზაში დაგორებულა,
მისდგომია კუდა გოჭი—

სულ მთლად გალორებულა.
ასეთია შემოდგომა
გარს ფოთლების მფანტავი;
მწიფე გახლავს ყურძენი,

მწიფე გახლავს ატამი,
მწიფე გახლავს ვაშლი,
მწიფე გახლავს ბია...
სახლში,

ბაღში,
გზაში,—
ყველგან ხილი ყრია.
რა სჯობია შემოდგომის

საოცნებო დღეებს!
ალაგ—წითელ,
ალაგ—ყვითელ
კორტოხებს და ტყეებს.

რა სჯობია შემოდგომას—
ამ გულკეთილ პაპას!
კაცის შრომით,
კაცის ხელით
აჭრელებულ მთა-ბარს.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

# კერკეტი კაკლები

**მაჯამურა**

1

ან სულ არ მოდის
ან აგვიანებს,
არ ასუფთავებს,
. . . . . . . . . . . .

2

წნელი ვჭერით—
და ვწანით
ხან გოდორი,
ხან ძარი,
ნარჩენები ავკრიფეთ,
რომ არ გაჩნდეს
. . . . . . .

**გიორგი წერეთელი**



**ამოცანა**

ორმა ძმამ ათი ვაშლი უნდა გაიყოს. ერთმა მათგანმა, უფროსმა, ერთით მეტი უნდა მიიღოს. როგორ გაიყოფენ?

**გამოცანა**

აიმ უნიგვზო ჩურჩხელას,
ალმასივით რომ ელავს,
ცხრათვალა მზემ თუ დახედა,
წყლად გადააქცევს ხელად.

**შოთა ამირანაშვილი**





**ამოცანა**

საათის ციფრთა ჯამი უდრის 78-ს. საჭიროა ეს ციფრები ორი ხაზით სამ ჯგუფად გაიყოს ისე, რომ თითოეულ ჯგუფში შემავალ ციფრთა ჯამი 26-ს უდრიდეს.

საქართველოს
ალკკ ცკ-ისა
და ვ. ი. ლენინის
სახელობის
პიონერთა
ორგანიზაციის
რესპუბლიკური
საგზოს
ჟურნალი
უმცროსკლასელთათვის

გამოდის
1927
წლიდან

საქ. კპ ცკ-ის
გამომცემლობა
Издательство
... КП Грузии

უდაზე ნახატი ედუარდ ამბოკაძისა

მთავარი რედაქტორი ენვერ ნიჟარაძე

სარედაქციო კოლეგია: ედუარდ ამბოკაძე, ილია ანთელავა, კუკური ბოგიაშვილი, სოლომონ დემურხანაშვილი, ლეილა ერაძე, მანანა კობახიძე, ზურაბ ლეჟავაშელი (პ/მ. მდივანი), ბელა ლოსაბერიძე, მაყვალა მრევლიშვილი, ჯურხა ნადირაძე, გიორგი როინიშვილი (სამხატვრო რედაქტორი), მანანა ხაჩიძე, გივი ჭიჭინაძე.

ტექნიკური რედაქტორი ენდი წერეთელი

მისამართი: რედაქციის, გამომცემლობის, სტამბის — თბილისი, ლენინის, 14. ტელ: მთ. რედაქტორის — 93-41-30, 93-98-15; პ/მგ მდივნის — 93-10-32, 93-98-18; სამხ. რედაქტორის — 93-98-18; განყოფ. 93-98-19; 93-98-17.

გადაეცა ასაწყობად 10. VIII 83 წ., ხელმოწერილია დასაბეჭდად 17/X 83 წ., ქაღალდის ზომა 60×90[1]/16. ფიზ. ნაბ. ფურც. 2,5. ტირაჟი 165000; შეკვ. № 1523. «Дила» № 10. журнал для младшеклассников на грузинском языке. Главный редактор Э. Нижарадзе. Тбилиси, Ленина, 14 Ц 20 к.

ფასი 20 კაპ.

ინდექსი 76055

ეროვნული ბიბლიოთეკა

